აუდიტური ფირმა

შ.პ.ს. მეავიდი

№ 05

24 02 2017 წ.

ლიცენზია ს № 381

ფირმის სარეგისტრაციო №-SARAS-F-112045.

აუდიტის სარეგისტრაციო №-SARAS-F-125365.

# აუდიტორული დასკვნა

*ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობის (ძველი სკოლის შენობა) ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, მისი ვარგისიანობის და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ.*

აუდიტური ფირმა შ.პ.ს. „მეავიდი"-ს მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის თ. სულაძის 20/02 2017წ. № MES 3 17 00152503 მომართვის საფუძველზე შესწავლილი და განსაზღვრული იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მისი ვარგისიანობა და დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება.

## დადგინდა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ს. ნინიგორის საჯარო სკოლის ძველი შენობა აშენებულია 1948 წელს. შენობა არის ორსართულიანი,შენობის გაბარიტული ზომებია 30X20 მ.

შენობის კედლები ნაშენია წითელი აგურით, გადახურულია ხის კონსტრუქციების მეშვეობით.

ძველი შენობის მარჯვენა ფრთა ახალი სკოლის შენობის სახურავის ქვეშ არის მოქცეული. ძველი შენობის დანარჩენ ნაწილში ხის გადახურვის კონსტრუქციები, სართულ შუა გადახურვები და სახურავი ჩამოშლილია. (ფოტოილუსტრაციები თან ერთვის).

ძველი შენობა ამორტიზირებულია, დანგრეულია, ავარიულ მდგომარეობაშია. ჩასატარებელია შენობის დემონტაჟი და შემოსავალში ასაღებია მეორადი სამშენებლო მასალები. (აგური; ხის მასალა; თუნუქი.) .

საორიენტაციოდ ვარგისი აგურის რაოდენობა შეადგენს – 70 000 ცალს; ხის მასალა - 5.0 კუბ.მ.; თუნუქის ტალღოვანი ფურცელი - 120 ცალი.

მისაღები ვარგისი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად;

| № | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ.საბაზრო ღირებულება ლარი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | წითელი აგური | ცალი | 70000 | 0.33 | 23100 |
| 2 | ხის მასალა | კუბ.მ. | 5 | 400 | 2000 |
| 3 | თუნუქის ტალღოვანი ფურცელი | ცალი | 120 | 10 | 1200 |
| | სულ | | | | 26300 |

სადემონტაჟო სამუშაოებზე გასაწევი ხარჯების საორიენტაციო მოცულობა განისაღვრება ქვემოთ მოყვანილი გაანგარიშების მიხედვით;

| № | საფუძველი | შესრულებული სამუშაოების დასხელება | განზ-ბა | რ-ბა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | 46-23-5 | არსებული წითელი აგურის დემონტაჟი | კუბ/მ. | 166.7 | 30 | 5000 |
| 2 | 46 -92 | ხის მასალის დემონტაჟი | კუბ/მ. | 240 | 1.80 | 432 |
| 3 | 46 -96 | თუნუქის ტალღოვანი ფურცელების დემონტაჟი | კ ვ.მ. | 240 | 1.50 | 360 |
| 4 | ღ1-2 | ნაგვის დატვირთვა | კუბ/მ. | 199.2 | 2.4 | 478 |
| 5 | სრფ -15 | სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება 7 კმ. მანძილზე | ტ. | 298.8 | 4.26 | 1273 |
| | სულ | | | | | 7543 |

ზემოთ მოყვანილი ცხრილების მიხედვით ნინიგორის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟიდან მიღებული მეორადი მასალების რეალიზაციიდან მისაღები საორიენტაციო შემოსავალი განისაზღვრება 26300 (ოცდაექვსიათასსამასი) ლარის ოდემობით.

ხოლო სკოლის შენობის დემონტაჟზე საორიენტაციოდ გასაწევია 7543 (შვიდიათასხუთასორმოცდასამი) ლარის ოდენობის ხარჯი.

აქედან გამომდინარე ნინიგორის სკოლის შენობის დემონტაჟიდან, გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით მისაღები შემოსავალი საორიენტაციოდ განისაზღვრა 18757 (თვრამეტიათასშვიდასორმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით. (26300 -7543).

რაც შეიძლება გამოყენებული იქნას აუქციონზე საწყის გასაყიდ ფასად.

არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. (სარეგისტრაციო №882015389144; ნაკვეთის № 54/04/56/296.)

დირექტორი: /მ. ტაბატაძე/

აუდიტი: /ა. ლობჟანიძე/